



N 6699/01  
15/07/2020

6699-01-2-202007152022



**ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას**

**ასლი: შპს „კოლხეთი ცემენტს“**

**მის: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ N1**

2020 წლის 10 ივლისს სამინისტროში წარმოდგენილია შპს „კოლხეთი ცემენტის“ ქ. ზუგდიდში ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში. გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 30 ივლისს ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართება ქ. ზუგდიდის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეზოში (ღია სივრცეში), ჯანაშიას ქუჩა N 14.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/26833>).

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (მაგ.: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით. დანართის სახით, გიგზავნით ინფორმაციას აღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.

დანართი: ტექსტის მიხედვით

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

